საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(234) 2021 წ. 16-28 თებერვალი ფასი 1 ლარი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია 100 წლისაა

კონსტიტუცია ექრდნობოდა 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პრინციპებს

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, იმდროინდელი მსოფლიო მასშტაბით პროგრესულად აღიარებული დოკუმენტი, 17 თავისა და 149 მუხლისაგან შედგება. ქვეყნის ძირითადი კანონით პოლიტიკურ წყობად განისაზღვრა დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციით გარანტირებული იყო ქალთა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები; გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის პირველი შეკრება 1918 წლის 7 ივნისს გაიმართა. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს სერგი ჯაფარიძე, კომისიის მდივნად კი - პავლე საყვარელიძე. მრავალპარტიული კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: რაჟდენ არსენიძე, ნოე ჟორდანია, ივანე ჩერქეზიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ დადიანი, გიორგი გვაზავა, კონსტანტინე მაყაშვილი. ზუსტად ერთი თვის შემდეგ კომისიის რამდენიმე წევრი ახალი წევრით ჩაანაცვლეს: ლეო ნათაძე (ნოე ჟორდანიას ნაცვლად), მარიამ ჩხეიძე (ივანე ჩერქეზიშვილის ნაცვლად), ალექსანდრე წერეთელი (გრიგოლ რცხილაძის ნაცვლად), გერონტი ქიქოძე და სპირიდონ კედია (გიორგი გვაზავას ნაცვლად).

დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ, 1919 წლის მარტში, შეიქმნა თხუთმეტი წევრისაგან შემდგარი ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მანამდე არსებული კომისიის მასალები გადაიბარა და მუშაობა განაგრძო. კომისიის წევრთა შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. მას ჯერ - რაჟდენ არსენიძე, ხოლო მოგვიანებით პავლე საყვარელიძე ხელმძღვანელობდა.

კონსტიტუციის პროექტი სრული სახით 1920 წლის მაისში დაიბეჭდა და განსახილველად დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდათ. პროექტის განხილვას კრების მრავალი სხდომა მიეძღვნა. საბოლოოდ, 1921 წლის 21 თებერვალს თბილისში გამართულ სხდომაზე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო. სწორედ იმ დროს ქართული შეიარაღებული ძალები რუსულ არმიას თბილისის მისადგომებთან ებრძოდა.

კონსტიტუცია 1921 წლის მარტში ბათუმში, ნესტორ ხვინგიას სტამბაში,.

ახალი კანონპროექტის მისაღებად ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად

***საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარემ* ნინო წილოსანმა** კომიტეტის სხვა წევრებთან და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერ გიორგი ერბოწონაშვილთან ერთად სოფელ გიორგიწმინდაში დავით ბუხნიკაშვილის ფერმერული მეურნეობა ადგილზე დაათვალიერა.

მეურნეობა 150 ჰა-ზეა გაშენებული და ძირითადად კაკლოვან კულტურებს მოიცავს. დავითმა თავდაპირველად პროგრამის ფარგლებში- "დანერგე მომავალი", ნერგების შესაძენად 70%-ანი დაფინანსება მიიღო. გარდა ამისა, მან გარემოს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტით მეურნეობის გარშემო 5 ჰა-ზე ქარსაფარი ზოლი გააშენა (REC Caucasus დახმარებით). ასე სულ ჯამში, 12 კილომეტრიანი ქარსაფარი ზოლი აქვს მოწყობილი.

"ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ" კანონპროექტი, რომელსაც უახლოეს კვირებში აგრარულ საკითხთა კომიტეტი დაიინიცირებს, სხვა ფერმერებსაც წაახალისებს არამარტო დაიცვან, არამედ გააშენონ ქარსაფარები.

- რაც მთავარია სახელმწიფო პოლიტიკაში გაჩნდება ქარსაფარების ინვენტარიზაციისა და გაშენების ვალდებულება - განაცხადა შეხვედრაზე ქალბატონმა ნინო წილოსანმა.

დანიშვნა

კახეთის მხარეს ახალი სახელმწიფო რწმუნებული ჰყავს

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულად, **ირაკლი შიოშვილი** დაინიშნა.

ირაკლი შიოშვილი, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, 2016 წელს, გუბერნატორის პირველ მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 2020 წლის აგვისტოდან კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობას ასრულებდა.

შიოშვილის დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერის სპეციალობით; თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აღმაშენებელი" იურისტის განათლებით ; 2004 წელს კი სამეცნიერო აკადემიური ხარისხი მიიღო.

საქართველოს გარდა, მან 2009 წელს მიჩიგანის შტატის საერთაშორისო ბიზნეს აკადემიაც დაამთავრა. 2007 წელს გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ქიმიკოსთა ასოციაციის წევრი, ხოლო 2009 წელს სამხედრო საინჟინრო ასოციაციის წევრი.

მისი სამუშაო გამოცდილება 16 სამსახურს ითვლის, მათ შორის იყო ლოს-ანჟელესის ბიზნეს ცენტრში, საბანკო საქმის მენეჯერი; თავდაცვის სამინისტროს საკომენდატო 23-ე ბრიგადის ასეულის მეთაური; . შ.პ.ს. „ქართული ლიმონათის" გენერალური დირექტორი ; პირველი ციფრული მრავალარხიანი ტელევიზია „global TV",გენერალური დირექტორი ; შ.პ.ს. „მობიტელი" (ბილაინი) კახეთის რეგიონალური ფილიალის დირექტორი ; ს.ს. „დავით სარაჯიშვილი და ენისელი", აღმასრულებელი დირექტორი; ამერიკის შეერთებული შტატები,კორპორაცია " & " გაყიდვების მენეჯერი და სხვა. ირაკლი შიოშვილის არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ის სამხედრო წოდებით მაიორია.

ირაკლი შიოშვილს მეუღლე და ერთი შვილი ჰყავს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გიორგი ლალიაშვილი

დაიბადა 1971 წელს

განათლება - სამართალმცოდნეობის მაგისტრი:

- 1993 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;
- უცხოელი ექსპერტების ხელმძღვანელობით გაიარა სპეციალური მომზადება კორუფციისა და თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართულებით;
- მონაწილეობას იღებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და საგამოძიებო ორგანოებში რეფორმის მომამზადებელი კომისიის მუშაობაში;
- კითხულობდა ლექციების კურსს სისხლის სამართალში უნივერსიტეტის დმანისის ფილიალში.
- 1993-1994 წლები. ქ. თბილისის პროკურატურა, სტაჟიორი;
- 1994-1999 წლები. ქ. თბილისის პროკურატურა, გამომძიებელი;
- 1999 – 2000 წლები. კახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი;
- 2000 – 2005 წლები. საგარეჯოს რაიონის პროკურორი;
- 2006–2008 წლები. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი გამომძიებელი, შემდგომში რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- 2008-2016 წლები. სააქციო საზოგადოება „ენერჯი ინვესტის" უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;
- 2017-2020 წლები. სააქციო საზოგადოება „რუსთავის აზოტი", სამსახურის უფროსი;

ოჯახური მდგომარეობა - ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

შეხვედრას, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიაში შედგა, ესწრებოდნენ: სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - ბენედიქტე გეგეჭკორი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გიორგი ლალიაშვილი, მერის წარმომადგენლები და დეპუტატები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ახალი რეგულაციების თანახმად, „რთველი 2021-ის “ ფარგლებში ყურძნის ხარისხის კონტროლი მკაცრდება.

ჩასაბარებელი ყურძნის შაქრიანობა, რომელიც შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტით არის დადგენილი, განსაზღვრავს ყურძნის ხარისხს, რაც შემდგომ მის საბაზრო ღირებულებაზეც აისახება. გარდა ამისა, კონტროლი განხორციელდება ადგილწარმოშობის ჯიშების სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოსავლიანობის ლიმიტზე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია დროულად უნდა იყოს მიტანილი მევენახე ფერმერებამდე. ამ მიმართულებით აქტიურად იმუშავებენ სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ფერმერებთან შეხვედრებს გამართავენ . გარდა ამისა, მიმდინარე წელს იგეგმება ვენახების კადასტრის პროგრამის დასრულება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, რაც მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების და ხარისხიანი ღვინის წარმოებისათვის.

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲜᲐᲓ

15 თებერვლიდან, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი - გიორგი ერბოწონაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად პირველ დღეს სოფელ მანავს, ბურდიანის დასახლებასა და თოხლიაურს ესტუმრა.

მანავის მოსახლეობამ ბატონ მერს მადლობა გადაუხადა ციხესთან მისასვლელი გზის პროექტისა და ბურდიანის დასახლებაში ახალი ჭაბურღილის მოწყობისთვის.

გიორგი ერბოწონაშვილმა დამსწრეებს, აღნიშნულ სოფლებში მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, სოფლის მოსახლეობისგან გაჟღერებული საჭიროებები და მოსაზრებები მოისმინა.

დასასრული მე-8 გვერდზე

ᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ თოვის გამო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში: გომბორსა და მის მიმდებარედ, ადგილობრივი მოსახლეობისა და მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, გზის გაწმენდითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ გადაუდებელი დახმარების ცენტრის მედპერსონალი მუშაობას ახალ სამუშაო გარემოში გააგრძელებს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცენტრი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის გათვალისწინებითაა დაპროექტებული და ადგილზე პერსონალისთვის სამუშაო და მოსასვენებელი ყველა პირობაა შექმნილი.

პროექტი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების მშენებლობის პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ახორციელებს.

ადმინისტრაციული შენობა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაურმა, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორმა ალექსანდრე კალანდიამ, კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულ ირაკლი შიოშვილთან და საგარეჯოს მერ გიორგი ერბოწონაშვილთან და მის მოადგილეებთან-ალექსი გილაშვილთან და გიორგი ლალიაშვილთან ერთად მოინახულა.

სოფლის მეურნეობა მოსახლეობის საყურადღებოდ!

სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში მიწის რეგისტრაციის შემდგომი ეტაპი გრძელდება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციულ ერთეულში, მიწის სისტემური რეგისტრაციის საკადასტრო სამუშაოების მონაცემები საჯაროდ გამოქვეყნდა საჯარო რეესტრის ქონების ცენტრალიზებული დეპარტამენტის 2020 წლის 4 ნოემბრის №429856 გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადგილობრივ მოსახლეობას, შესაძლებლობა აქვს ქალაქ საგარეჯოს, ნინოწმინდას, წყაროსთავის, გიორგიწმინდას, ყანდაურას, შიბლიანის, იორმუღანლოს, ლამბალოს, თულარისა და დუზაგრამას ადმინისტრაციულ ერთეულებში, ქვემო სამგორის სარწყავი არხების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, პროექტის ფარგლებში ჩატარებული საკადასტრო სამუშაოების შედეგებს, სარეგისტრაციო დოკუმენტაციას, აზომილი ნაკვეთების შესახებ ინფორმაციასა და საკადასტრო რუკებს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში გაეცნონ.

საკადასტრო რუკების სანახავად გთავაზობთ ნახოთ ბმული: ქალაქ საგარეჯოს, ნინოწმინდას, წყაროსთავის, გიორგიწმინდას, ყანდაურას, შიბლიანის, იორმუღანლოს, ლამბალოს, თულარის და დუზაგრამას ადმინისტრაციული ერთეულების რუკები : https://drive.google.com/

იმ შემთხვევაში, თუკი არ ეთანხმებით საკადასტრო აღწერის (მიწის აზომვის) შედეგებს, გთხოვთ, ეწვიოთ ბმულს : https://napr.gov.ge/publishing

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დარეკეთ ცხელ ხაზზე : + (995 32) 2 405 405.

შეგახსენებთ , რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთია იმ ხუთი დასახლებიდან, რომელიც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 ივნისის №1085 განკარგულების საფუძველზე, მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის განსახორციელებლად შეირჩა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მსოფლიო ბანკის დაფინანსებით სისტემური რეგისტრაციის პროექტი კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში, 5 მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციულ ერთეულში განახორციელებს. კერძოდ:

საპილოტო პროექტით უფასოდაა გათვალისწინებული მიწის რეგისტრაცია და რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა მომსახურება: უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და აღრიცხვა, საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება, საკადასტრო მონაცემების ცვლილება, საკადასტრო აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაზუსტება, ნოტარიუსის მიერ მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება.

საპილოტო პროექტის განხორციელების შედეგად, მიწის სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგია შემუშავდება, რომელიც სახელმწიფოს სასოფლო-სამეურეო მიწების პირველადი რეგისტრაციის დასრულებასა და სარეგისტრაციო და საკადასტრო ბაზის სრულყოფაში დაეხმარება.

სისტემური რეგისტრაციების წინა მოსამზადებელი სამუშაოები ნაკვეთებისა და მესაკუთრეების იდენტიფიკაციას, უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიებას, არსებული პრობლემების ანალიზს, საკადასტრო აზომვით სამუშაოებს და ა.შ. ითვალისწინებს.

საპილოტო პროექტის ფარგლებში რეგისტრაცია არ ზღუდავს მოქალაქეებს ინდივიდუალურად, განცხადებით მიმართონ საჯარო რეესტრს და ნაკვეთები თავად დაირეგისტრირონ.

დაირეგისტრირე მიწა მარტივად და გახდი მესაკუთრე!

რუკები გამოქვეყნებულია ნინოწმინდაში, მერის წარმომადგენლის შენობაში, გიორგიწმინდაში მერის წარმომადგენლის შენობაში, იორმუღანლოს საზოგადოებრივ ცენტრში, ქალაქ საგარეჯოში გამგეობის ძველ შენობაში რუკების ნახვა ელექტრონულად შესაძლებელია

საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საჯარო გამოცხადების შესახებ, ასევე ბმულს, საიდანაც შესაძლებელია განაცხადების წარმოდგენა ელექტრონულად https://napr.gov.ge/publishing

სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ქალაქ საგარეჯოში ახალი სამაცივრო მეურნეობა აშენდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ახალი სამაცივრო მეურნეობა სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. შპს „სომა მაცივარი“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმოა, სადაც ჯამურად, 578,000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, მათ შორის, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 231,200 ლარია, 289,000 ლარი - შედავათიანი აგროკრედიტი. სამაცივრო მეურნეობაში 500 ტონა ხილისა და ბოსტნეულის შენახვაა შესაძლებელი; პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება. საწარმოში 30-მდე ადგილობრივია დასაქმებული.

სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან, დავით სონღულაშვილთან, კახეთის მხარის რწმუნებულის მოადგილესთან - გივი მეტრეველთან და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებთან- ალექსი გილაშვილთან და გიორგი ლალიაშვილთან ერთად, ახლადგახსნილ საწარმოში იმყოფებოდა.

„სოფლის განვითარების სააგენტოსთვის პრიორიტეტია აღნიშნული ტიპის ინფრასტრუქტურის შექმნა. აგრარული წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში, უმნიშვნელოვანესია მოსავალის დროული დასაწყობება და შესაბამის პირობებში შენახვა. სახელმწიფოს მხრიდან, მომავალშიც არაერთი მსგავსი ტიპის პროექტი იქნება მხარდაჭერილი“, - განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ილია თამარაშვილმა.

მაჟორიტარი დეპუტატის დავით სონღულაშვილის განცხადებით, ასეთი ტიპის მეურნეობები ქმნის შესაძლებლობას კიდევ უფრო მეტი ღირებულება შეიქმნას, კიდევ უფრო მეტი ადამიანი დასაქმდეს და მეტი იმპორტირებული პროდუქტი ჩანაცვლდეს ადგილობრივით.

აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს საგრანტო პროგრამების ფარგლებში, მხარდაჭერილია 50-მდე სამაცივრო და შემნახველი მეურნეობა, მათი დაფინანსება კი, ჯამურად, 23 მლნ ლარს აღემატება.

შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში შემნახველი და სამაცივრო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ჯამში გაცემულია 154 მლნ ლარზე მეტი ღირებულების ათასზე მეტი სესხი, სააგენტოს გაცემული თანადაფინანსება 24 მლნ ლარს აჭარბებს.

სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტის მხარდამჭერ პროგრამებს. სოფლის განვითარების სააგენტო არის გზამკვლევი ფერმერებისა და სოფლად მაცხოვრებლებისათვის, რომ სოფლად საქმიანობა წარმატებულად განავითარონ.

პროგრამა გრძელდება ფერმერების დასახმარებლად

ფერმერების აგროდიზელით მხარდაჭერის პროგრამა 2021 წელსაც გრძელდება. ფერმერები დიზელის საწვავს მნიშვნელოვნად დაბალ ფასად მიიღებენ.

პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყება პირველი თებერვლიდან, ხოლო ფასდაკლების ბარათების გააქტიურება 7 თებერვლიდან ეტაპობრივად განხორციელდება.

ფერმერებს ფასდაკლებით სარგებლობა უკვე ელექტრონულადაც შეუძლიათ და ბენზინგასამართ სადგურებზე დაბეჭდილი დოკუმენტის წარდგენა აღარ მოუწევთ.

საწვავზე ფასდაკლების დასტური გაიცემა დისტანციურად, ვებგვერდის https://my.mepa.gov.ge საშუალებით. ფერმერებს ასევე შეეძლებათ ბარათები სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებშიც მიიღონ.

ფერმერებისათვის შედავათიანი პირობებით საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებით, დღეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ანტიკრიზისული გეგმის - „ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე“ ფარგლებში, 2020 წელს აგროდიზელის პროგრამა წარმატებით განხორციელდა. ფასდაკლებით ისარგებლა 125 ათასმა ფერმერმა და მათ 7 მილიონ ლარზე მეტი შედავათი მიიღეს.

აგროდიზელის შედავათიან ფასად მიღებას კვლავ შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომლთაც აქვთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა-სა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვრისა, ან ის პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არა უმეტეს 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დიზელის საწვავი მიმდინარე წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, კონსოლიდირებულ ტენდერში დაფიქსირებულ ფასზე 20 თეთრით იაფად შეისყიდონ კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ საბითუმო ბაზებიდან, ხოლო ავტოგასამართი სადგურებიდან - 16 თეთრის ფასდაკლებით.

მთელი ქვეყნის მასშტაბით დიზელის შეუფერხებლად გაცემა მოხდება დადგენილი გრაფიკის მიხედვით, კერძოდ - 1 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით. გაიცემა არაუმეტეს 2 000 ლიტრი საწვავი, 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით - დამატებით 1 500 ლიტრი, ხოლო 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით - დარჩენილი რაოდენობა.

განათლება

რეკომენდაციები, რომლებიც მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ

„...სრულდება ყველა რეკომენდაცია“

***რობორც** ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში 15 თებერვლიდან სასწავლო პროცესის სასკოლო ოთახებში გაგრძელებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სკოლებისათვის რეკომენდაციები, განაახლა. აღნიშნული რეკომენდაციები ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად, განათლების სამინისტრომ ქვეყნის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს მიაწოდა და დააკავალათ – მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოსწავლეთა მშობლებისათვის მიეწოდებინთ ინფორმაცია აღნიშნული რეგულაციების შესახებ. ამის მეშვეობით ორივე მხარეს – მშობლებსა და სკოლების ადმინისტრაციებს ყოველდღიური ინფორმაცია ექნებათ იმ პრევენციის ღონისძიებათა შესახებ, რასაც სკოლები „covid-19“ პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ ახორციელებენ., ასევე, მშობლები მიიღებენ იმ საჭირო რეკომენდაციებს, რისი გაკეთებაც ოჯახიდან მართებთ სკოლაში მოსწავლეთა გამგ ზავრებისას.**

აღნიშნულ რეგულაციებთან ერთად ძალაში დარჩა 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში განათლების სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, რითაც სკოლის ადმინისტრაციას თავად შეუძლია განსაზღვროს გაკვეთილის ხანგრძლივობა, მისი დაწყების დრო საფეხურების მიხედვით, შექმნილი ვითარების და ინფრასტრუქტურის მიხედვით დაგეგმოს ცვლილებები საგაკვეთილო მოდელის გამოყენების საქმეში და სხვა, რაც საბოლოო ჯამში მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისთვისაა გათვალისწინებული. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რეკომენდაციებისა და რეგულაციების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისთვისაც, თუ როგორ ასრულებენ მათი ადმინისტრაციები მათთვის წაყენებულ მოთხოვნებს, გვესაუბრება საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი <u>მანანა ცუცქირიძე.</u>

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში, – ***როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა,*** – „covid-19“ პრევენციის მიზნით ტარდება ყველა ის რეკომენდაცია, რომელსაც ადგენს ჯანდაცვის სამინისტრო და რომლის შესახებაც რეკომენდაციას გვაწვდის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. კერძოდ, ყველა საჯარო სკოლაში შემსვლელი ნებისმიერი მოქალაქისათვის სკოლის შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერი, რეგულარულად ტარდება თერმოსკრინინგი, ხელის დეზინფიცირება, აქვე შექმნილია შემსვლელი და გამსვლელი პიროვნებების რეესტრი, პირადი ნომრის ჩვენებით. ყველა დასვენებაზე საკლასო ოთახებში ხდება მერხების ზედაპირების, სკამების და ყველა იმ საგნების დამუშავება კონცენტრირებული სადეზინფექციო ხსნარით, რომელსაც მოსწავლე და მასწავლებელი ეხება. ყველა დასვენებაზე ნიავდება საკლასო ოთახები, სუფთავდება სველი წერტილები, დაცულია დისტანცია, სკოლის შიდა სივრცეში ყველა თანამშრომელი გადაადგილდება პირბადით, გარდა 1-5 კლასის მოსწავლეებისა, დერეფნებში განთავსებულია იდაყვის დისპენსერები ხელის სადეზინფექციო ხსნარებით. ნარჩენის ჩასაყრელად დერეფნებში განთავსებულია დახურული კონტეინერები ფეხის პედლით.

– თუ ხდება სკოლებში დასაქმებული ადმინისტრაციის, პედაგოგების და სხვა თანამშრომლების განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციით „covid-19“-ზე შემოწმება?

– ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი ორ კვირაში ერთხელ იტესტება უფასოდ და მხოლოდ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში შეუძლიათ სკოლაში შემოსვლა. ტესტირებას აწარმოებს ორგანიზაციები (საზ. ჯანდაცვა და კერძო კლინიკები), რომელთაც გაიარეს რეგისტრაცია და გააჩნიათ შესაბამისი უფლება.

– ვინ ახდენს სკოლებში კოვიდრეგულაციების დაცვის შემოწმებას და მათ შედეგებზე რეაგირებას?

– კოვიდ რეგულაციების დაცვის შემოწმება რეგულარულად ხდება საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ სპეციალურად შექმნილი კომისიის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

– სწავლის დაწყებიდან დაინფიცირების შემთხვევები ხომ არ დაფიქსირებულა?

– არც ერთი და თუ მოსწავლე ან მასწავლებელი დაინფიცირდება, სკოლა აწვდის ინფორმაციას რესურსცენტრს, რესურსცენტრი საზ. ჯანდაცვას და მუშავდება გეგმა სკოლის ან და კლასის წერტილოვან, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შესახებ.

– რამდენად არიან ინფორმირებულნი მოსწავლეთა მშობლები ახალი რეგულაციების შესახებ?

– პანდემიიდან გამომდინარე, მოსწავლეთა მშობლები ვერ აღწევენ სასკოლო სივრცეში, თუ არა განსაკუთრებული საჭიროება. ყველა მშობელს საჭირო ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ ონლაინ პლატფორმების გამოყენებით, მათ აგრეთვე უტარდებათ ონლაინ შეხვედრები, რომელსაც აორგანიზებს საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და კლასის დამრიგებელი.

– როგორ პასუხობენ საჯარო სკოლების სველი წერტილები რეგულაციების მოთხოვნებს?

– ყველა საჯარო სკოლაში სველი წერტილები რეაბილიტირებულია და შეტანილია შენობის შიგნით, შესატანი დარჩა მხოლოდ რამდენიმე სკოლაში, თუმცა აქაც დაცულია სანიტარული ნორმები. ყველა სკოლის სველ წერტილებში არის ხელის საწმენდები, საპირფარეშოს ქაღალდი, თხევადი საპონი და რა თქმა უნდა, წყალი.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფასოდ ამარაგებს ყველა საჯარო სკოლას სადეზინფექციო ხსნარებით, დისტანციური თერმომეტრებით, პირბადეებითა და სანიტარული ნორმების დაცვისათვის საჭირო ყველა საშუალებით.

ინტერვიუ ჩაიწერა
გივი ღაბახიშვილმა

განახლებული რეკომენდაციები

სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში გაგრძელებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ რეკომენდაციები განაახლა.

სკოლებში სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მოსწავლეთა მშობლების ინფორმირების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები მიეწოდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

რეკომენდაციებსა და წესებს შორისაა:

მოსწავლის ტრანსპორტირება:

სასკოლო ტრანსპორტში ასვლამდე უნდა ჩატარდეს მოსწავლის თერმოსკრინინგი;

37 ან მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მშობლის ინფორმირება და მოსწავლის სახლში დაბრუნება ;

დასაშვები ტემპერატურის შემთხვევაში, სასკოლო ტრანსპორტით მგზავრობისას, მოსწავლისთვის სავალდებულოა პირბადის ტარება

სკოლაში შესვლამდე:

თერმოსკრინინგის ჩასატარებლად მოსწავლეები იცავენ 1-მეტრიან დისტანციას

სკოლის შენობაში შემსვლელ ნებისმიერ პირს სკოლის წარმომადგენელი უზომავს ტემპერატურას;

დასაშვები ტემპერატურის შემთხვევაში, პირი გაივლის დეზობარიერს, დაიმუშავებს ხელებს ანტიბაქტერიული ხსნარით და მხოლოდ მას შემდეგ გადაადგილდება დანიშნულების ადგილამდე;

თერმოსკრინინგისას 37 ან მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, ხდება პირის სპეციალურად განსაზღვრულ სივრცეში გადაყვანა და 15 წუთის შემდეგ, განმეორებით, სამედიცინო თერმომეტრით ტემპერატურის გადამოწმება;

37 ან მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ტექნიკური პერსონალი და გარეშე პირები სკოლაში არ დაიშვებიან;

37 ან მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსწავლე სკოლის წარმომადგენელს გადაჰყავს წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში. სკოლა უკავშირდება მოსწავლის მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანისთვის. მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად.

მოსწავლის პირადი ჰიგიენა სკოლაში:

სკოლის საერთო სივრცეებში V-XII კლასის მოსწავლეები უნდა გადაადგილდნენ მხოლოდ პირბადით

მოსწავლემ სკოლაში გადაადგილებისას უნდა დაიცვას 1-მეტრიანი დისტანცია

საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ მოსწავლემ ხელები უნდა დაიბანოს საპნით და გაიმშრალოს ქაღალდის ხელსახოცით

გაკვეთილზე ხელის დაბინძურების შემთხვევაში, მოსწავლემ ხელები უნდა დაიმუშაოს სადეზინფექციო ხსნარით

ხველების ან ცემინების შემთხვევაში, მოსწავლემ სახეზე უნდა აიფაროს მოხრილი იდაყვი ან გამოიყენოს ერთჯერადი ხელსახოცი. გამოყენების შემდეგ ხელსახოცი მოსწავლემ უნდა მოათავსოს თავდახურულ ურნაში

საკვების მიღებამდე და შემდეგ მოსწავლემ აუცილებლად უნდა დაიბანოს ხელები დადგენილი წესით

რეკომენდაცია მშობლებს:

შვილის ცხელების ან რესპირაციული სიმპტომების შემთხვევაში, ბავშვი ექვემდებარება სახლში დარჩენას;

მშობელი ვალდებულია, სკოლას აცნობოს შვილის გამოუცხადებლობის მიზეზი და უზრუნველყოს ოჯახის ექიმის გამოძახება ან მისი გადაყვანა ცხელების ცენტრში.

რეკომენდაცია მასწავლებლებს:

სკოლის საერთო სივრცეებში მასწავლებელი უნდა გადაადგილდეს მხოლოდ პირბადით;

სკოლის შენობაში შესვლისთანავე მასწავლებელმა უნდა გაიაროს დეზობარიერი;

კლასიდან კლასში გადაადგილებისას, მასწავლებელმა ხელები უნდა დაიმუშაოს სადეზინფექციო ხსნარით;

მშობელთან კომუნიკაცია მასწავლებელმა უნდა წარმართოს დისტანციური სერვისების გამოყენებით;

მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით;

მასწავლებელმა ინტენსიურად უნდა იმუშაოს მოსწავლეებთან მათი ცნობიერების ასამაღლებლად.

ასევე, ძალაში რჩება 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით.

სასწავლო პროცესის უსაფრთხოების ნორმებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით წარმართვის მიზნით, ტარდება სკოლების მონიტორინგი. მოწესრიგდა სველი წერტილები 800-მდე სკოლაში.

სკოლების პედაგოგებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს უტარდებათ ტესტირება COVID-19-ზე.

სამინისტროს ინიციატივით, სკოლებს მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება დაევალათ, რომლის ფარგლებშიც მშობლები სისტემატურად მიიღებენ ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

სკოლის სპეციალური აღჭურვილობებით, დეზობარიერებით, სადეზინფექციო საშუალებებითა და უკონტაქტო თერმომეტრებით უზრუნველყოფა;

სკოლის მოვლა-პატრონობისა და დალაგება-დასუფთავების მიზნით გატარებული ღონისძიებები;

სკოლაში სველი წერტილების მდგომარეობა;

საკლასო ჯგუფების ცვლებში განაწილება, მიმდინარე საგაკვეთილო ცხრილი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის რესურსოთახით სარგებლობის განრიგი;

სკოლის ეზოსა და შენობაში მოსწავლეთა ნაკადების შესვლის, გასვლისა და გადაადგილების ორგანიზება;

თერმოსკრინინგის უზრუნველყოფა;

სკოლის პერიმეტრზე პირბადის ტარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

დისტანციური სწავლების ფორმა საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის;

სკოლის პერსონალის COVID-19-ზე სავალდებულო ტესტირება;

მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოყოფილი დრო და ფორმატი.

მოსწავლეთა მშობლებს კვლავ ეძლევათ შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი დასწრებით სწავლებასა და დისტანციურ სწავლებას შორის.

საქართველოს ყველა საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გააკეთონ არჩევანი დისტანციურ და დასწრებით სწავლებას შორის. აღნიშნული სერვისის მისაღებად, მშობელი ვალდებულია მოსწავლე დაარეგისტრიროს ონლაინრეგისტრაციის გზით https://online.emis.ge -ზე

სამინისტრო შესაძლებლობას აძლევს რისკჯგუფში მყოფ მასწავლებლებს მუშაობა დისტანციურ ფორმატში განაგრძონ.

ვალენტინობა ანუ სიყვარულის დღე და ჩვენ

აბერ უკვე რამდენიმე წელია ჩვენში არაეკლესიური საზოგადოება 14 თებერვალს ვალენტინობას (სიყვარულის დღეს) დიდი ზეიმით აღნიშნავს. გაზეთი, ტელევიზია და საკონცერტო აფიშები ამ დღის მოახლოებას თუ დადგომას გვაუწყებენ. საგაზეთო სტატიებიდან და ტელეგადაცემებიდან ვიგებთ, რომ 14 თებერვალი მღვდელი ვალენტინის მოსახსენებელი დღეა, რომელიც შეყვარებულებს ჩუმად აუდლებდა. ვინ იყო ვალენტინი? ის, რასაც ჩვენ დღეს 14 თებერვალს აღვნიშნავთ არის კი ქრისტიანული დღესასწაული?

14 თებერვალს რომის კათოლიკური ეკლესია ორ წმინდანს უკავშირებს: რომაელ მღვდელ ვალენტინს და ტერნის ეპისკოპოსს, აგრეთვე ვალენტინს, ორივე კლავდიუს II მეფობის დროს 269 წ. ეწამა. პირობითად მათი წამების თარიღად 14 თებერვალი იქნა აღიარებული. მათ შესახებ განსხვავებული აზრი არსებობს. კათოლიკე თეოლოგების ერთი ნაწილი თვლის, რომ ისინი განსხვავებული მოწამეები იყვნენ, რომელთაგან ერთი რომიდან 60 კმ დაშორებით, ხოლო მეორე ვია ლამინიანა-ს გზაზე დაკრძალეს. მეორე მოსაზრების მიხედვით ადმოცენდა ერთი მოწამის ორი კულტი, რადგანაც ეპისკოპოსი ვალენტინი სიკვდილით დასასჯელად ჯერ რომში ჩაიყვანეს, ხოლო შემდეგ კი ტერნში გამოასალმეს სიცოცხლეს. წამების შემდეგ ორივე მოწამეს თავი მოჰკვეთეს. 469 წ. რომის პაპმა გელასიუსმა 14 თებერვალი ვალენტინის ხსენების დღედ დააწესა. მისი კულტი უკვე IV ს. წარწერებიდან ჩანს. ვალენტინის თაყვანისცემა, რაოდენობის მიუხედავად, ერთი წმინდანის სახეში გაერთიანდა. ვფიქრობთ, დროთა ვითარებაში სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენებიც შეჯერდა და ვალენტინს დაუკავშირდა. ფიქრობენ, რომ 14 თებერვალს ვალენტინის დღესასწაულს წარმართული ფესვები უნდა ჰქონდეს. ვინაიდან მისი ცხოვრება არ იძლევა ცნობებს, რომელთა მიხედვითაც იგი შესაძლოა არშიყობისა და შეყვარებულთა მფარველი ყოფილიყო, თუმცა, ვფიქრობთ, მოგვიანებით, ხალხური გადმოცემების მიხედვით, მღვდელი ვალენტინი (და არა ეპისკოპოსი) შეყვარებულთა მფარველად და მეოხად მიიჩნეოდა. ტრადიციის მიხედვით კლავდიუს II (გოთიკუსმა) რომელიც ომებს აწარმოებდა, ჩათვალა რა, რომ დაოჯახებული მეომრები ცუდად იბრძოდნენ, რომის იმპერიაში აკრძალა ახალგაზრდების დაქორწინება. მღვდელი ვალენტინი კი შეყვარებულ წყვილებს ჯვარს სწერდა. იგი ქრისტიანი მოწამეების დახმარებისა და ჯვრისწერების აღსრულებისათვის შეუპყრიათ და სასტიკად უცემიათ. ლეგენდის მიხედვით, ციხეში ყოფნისას იგი დამტყვევებლის ბრმა ქალიშვილს დაახლოვებია და კიდევაც შეჰყვარებია. სიკვდილის წინ მისთვის სასიყვარულო ბარათი მიუწერია, რომელიც ასე მთავრდებოდა: „შენი ვალენტინისაგან“. ალბათ აქედან მომდინარეობს ევროპული ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვით ვალენტინობას გაგზავნილი ბარათით ვაჟი თავისი რჩეულის ვალენტინი ხდება, ხოლო გოგონა კი ვალენტინა.

მღვდელი ვალენტინი ეპილეფსიით დაავადებულთა მფარველადაც იყო მიჩნეული. გადმოცემის მიხედვით, მას თავად სჭირდა ეს დაავადება.

როგორც ვთქვით, მოგვიანებით ვალენტინი შეყვარებულების მფარველ წმინდანად მიიჩნეოდა. დღემდე ევროპასა და ამერიკაში 14 თებერვალს სასიყვარულო ბარათებს, საჩუქრებს, ყვავილებს, ტაბილეულს უგზავნიან შეყვარებულები ერთმანეთს. ხალხური ტრადიციის მიხედვით ვალენტინი თავის სიცოცხლეში ბავშვებს საკუთარი ბაღიდან ჩუქნიდა ყვავილებს. როდესაც მღვდელი დაატყვევეს, ბავშვები მიდიოდნენ მასთან და სიყვარულის ნიშნად ციხის გისოსებიან სარკმელში ესროდნენ ყვავილებს.

ვალენტინის სასიყვარულო ურთიერთობებთან კავშირს, როგორც თავად ეკლესიის ისტორიის კათოლიკე და პროტესტანტი სპეციალისტები მიიჩნევენ, მისი ხსენების დღეს უძველესი რომაული წარმართული დღესასწაულის აღნიშვნა უნდა დასდებოდა საფუძვლად.

რომაული კალენდრის მიხედვით თებერვალი წლის ბოლო თვე იყო და სემანტიკურად განწმენდას ნიშნავდა. მართლაც, ამ თვეში ფებრუები (ებრუა) ანუ განწმენდის რიტუალები ტარდებოდა. ძველ რომში 14 თებერვალს იუნონასადმი მიძღვნილი დღესასწაული აღინიშნებოდა. მას რომაელები ქალების, ქორწინების ქალღმერთად, რომაელი ღმერთებისა და ქალღმერთების დედოფლად მიიჩნევდნენ. ამ დღეს ფრინველთა დაწყვილების დღესასწაულიც ყოფილა. მომდევნო დღედ, 15 თებერვალი ლუპერკალიის დღესასწაულს ეძღვნებოდა. ასევე ნაყოფიერების წარმართული დღესასწაული, რომელიც მგლის კულტს უკავშირდებოდა. ღვთაებას ლუპერკი (უპუს-მგელი) ეწოდებოდა. ეს დღესასწაული რემუსსა და რომულუსსაც უკავშირდებოდა. როგორც ცნობილია, ლეგენდის მიხედვით რომის დამაარსებლების გადამრჩენლად მგელია მიჩნეული. ჩვენ აქ არ შევეხებით ლუპერკალის აღწერას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ დღესასწაულის დამეს რომაელი გოგონების სახელები იწერებოდა ფურცლებზე და ჯამში იდებოდა. ვაჟი იღებდა ქაღალდს და ვისი ქაღალდიც შეხვდებოდა. ის გოგონა მისი პარტნიორი იქნებოდა.

დღესასწაულის განმავლობაში ყმაწვილების დაწყვილება ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ხანდახან კი, როდესაც ისინი იზრდებოდნენ, ქორწინდებოდნენ კიდევაც. სწორედ წილისყრის ეს წესი დაუკავშირდა ევროპაში (რაც მეტნაკლებად დღემდე ტრადიციულია) 14 თებერვალს, ვალენტინის დღეს, რასაც ვფიქრობთ დაემატა ლეგენდა ზემოთხსენებული ბარათის შესახებ, რომელიც სიკვდილის წინ მოწამემ ბრმა გოგონას გაუგზავნა. თებერვალი ხომ ქრისტიანული „სასიყვარულო“ თვე იყო, ამას მრავალი, დღემდე შემორჩენილი წარმართული ქართული წეს-ჩვეულებაც მოწმობს, რომლებიც განსაკუთრებით უხვადაა საყველიერო ხალხურ დღესასწაულებში.

მართლმადიდებელი ეკლესია 14 (27) თებერვალს არ მოიხსენიებს ვალენტინის სახელით ცნობილ წმინდანს. იგი მოიხსენიებს: ინტერმანის ეპისკოპოსს, მღვდელმოწამე ვალენტინეს (უალენტინე) 30 (12.08) ივლისი, წმიდა მოწამე ვალენტინე ხუცესს - 6 (19) ივლისი, წმიდა ვალენტინოს (ვალენტინე) - 24 (6.05) აპრილი, წმიდა ვალენტინის - 16 (29) თებერვალი და 9 (22) მარტი. მათ არ აქვთ კავშირი 14 თებერვლის ვალენტინთან.

ამრიგად ვალენტინობის დღესასწაული სრულიად უცხოა მართლმადიდებლური სამყაროსათვის. იგი არც კათოლიკური ეკლესიის მიერ აღინიშნება, რაც დაგვიდასტურა ვატიკანის საელჩომ საქართველოში.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში მოღვაწეობდა წმიდანი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ჩვენში მართლმადიდებლობის განმტკიცებას და აღორძინებას. იგი არა მარტო თბილისის მფარველია, არამედ ანიჭებს ადამიანებს შვილიერებასა და ოჯახურ ბედნიერებას. და რაც მეტად ცხოვრობს ადამიანი ღვთისთვის სათნოდ, მით მეტად ეძლევა მას წყალობა ღმერთის წმიდანების და მათ შორის წმიდა მამა დავით გარეჯელის. მამა დავითი, ყველა ჩვენგანის დიდი მოძღვარი, შემწეობას, ოჯახურ ბედნიერებასა და შვილიერებას დღესაც უხვად ანიჭებს მასთან საშველად რწმენით მისულ თითოეულ ჩვენთაგანს. ნუ დაივიწყებთ მას, სასოებით ევედრეთ, ის ხომ ჩვენთვის ლოცულობს ღვთის წინაშე, ჩვენთვის ოჯახურ ბედნიერებასა და სიყვარულს შესთხოვს უფალს.

ნინო ღამბაშიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ისევ ვალენტინობის შესახებ

არის ღირსშესანიშნავი თარიღები, რომელთა მოახლოება იწვევს ტრადიციულ დავას ამ მოვლენის მიმართ მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის გამო. მაგალითად, შობის დღესასწაულისა და ახალი წლის დღეებში უკვე ვიცით, რომ პრესაში აუცილებლად გამოჩნდება სტატიები კალენდრის ძველი და ახალი სტილის უპირატესობა-ნაკლულევანების შესახებ. ცოტა ხანიც და გვიახლოვდება „ვალენტინობაც“ თავისი ჯერ კიდევ გაუბედავი მოლოცვებით.

მაგრამ, ამგვარი „სიყვარულის დღესასწაული“ არც მართლმადიდებლურ და არც კათოლიკურ ეკლესიას დაუწესებია მიუხედავად იმისა, რომ 14 თებერვალს იქ მართლაც აღინიშნება მესამე საუკუნეში მცხოვრები წმინდა მოწამე ვალენტინე ინტერამელის ხსენება (ამავე წმინდანის ხსენებას მართლმადიდებლები ახ. სტ. 12 აგვისტოს აღნიშნავენ). რომის ეკლესიისათვის მამაკაცსა და ქალს შორის ჭეშმარიტი სიყვარულის თემა „წმინდა ოჯახის“ დღესასწაულზე (რომელიც მარტში აღინიშნება) უფრო ხდება აქტუალური. რაც შეეხება 14 თებერვალს, ამ დღეს კათოლიკეები უფრო ხშირად კირილესა და მეთოდეს ხსენებას ზეიმობენ.

ამბავი, რომლის მიხედვითაც წმინდა ეპისკოპოსი ვალენტინი არღვევდა კლავდიუს II-ის ბრძანებას სამხედრო სამსახურში მყოფთა ქორწინების აკრძალვის შესახებ და შეყვარებულ წყვილებს ფარულად აქორწინებდა, თვით კათოლიკური ეკლესიის მიერ მხოლოდ ლეგენდად მიიჩნევა - იმ დროს ქორწინების ქრისტიანული რიტუალი ჯერ არც იყო შემუშავებული.

ამასთან, „ვალენტინობას“ უკავშირებენ სხვადასხვა წარმართულ დღესასწაულებსა და ხალხურ ჩვეულებებს. ერთ-ერთი ვერსიით, იმ დღეებში რომში პატივს მიაგებდნენ ქალღმერთ იუნონას (შეყვარებულ წყვილთა მფარველს) და შეყვარებულები ერთმანეთს სასიყვარულო ბარათებს გადასცემდნენ. ქრისტიანებმა გადაიღეს ეს ჩვეულება, ოღონდ ბარათებზე წმინდანთა სახელებს წერდნენ. ამიტომაც დაუკავშირდა წმინდა ვალენტინის სახელი ამ დღეს - ამ დროს ხომ მისი ხსენება იყო.

სხვა ვერსიით, ამ დღეს რომში ზეიმობდნენ ლუპერკალიას, „მძაფრი სიყვარულის“ ქალღმერთ იუნო ფებრუატასადმი მიძღვნილ ეროტიზმით გამორჩეულ დღესასწაულს, რომლის დროსაც ახალგაზრდები შეყვარებულებს ირჩევდნენ.

ზოგი თვლის, რომ თებერვლის შუა რიცხვებში სიყვარულის დღის დაწესება დაკავშირებულია იმ ხალხურ დაკვირვებასთან, რომლის მიხედვით ფრინველები და საქონელი სწორედ ამ პერიოდში წყვილდებიან. ზემონახსენები ლუპერკალიებიც, ანუ „მგლისაგან დაცვის“ დღესასწაულებიც სწორედ საქონლის გამრავლება-შენარჩუნებისათვის იმართებოდა. ამ დროს ქალიშვილები ცდილობდნენ, მიეღოთ წარმართული კულტის მსახურების სპეციალური მათრახის - „ფებრუის“ (რომლის სახელი თვესაც შეერქვა) დარტყმა, რაც მათ ვითომდა იღბლიან სიყვარულს, ბედნიერ ოჯახს და გამრავლებას უქადდა.

მერედა, რა არის ცუდი იმაში, რომ წარმართული დღესასწაულის ინერცია ქრისტიანულ ჩვეულებაში გატარდა? განა ასე არ მოხდა მზისადმი მიძღვნილი წარმართული დღესასწაულის თარიღზე ქრისტეშობის დღესასწაულის დაწესების დროც? შესაძლოა, იკითხოს მავანმა.

ჭეშმარიტი სიყვარულის გამჟღავნება დაკვეთით - გარკვეულ დღეს არ უნდა ხდებოდეს. „ვალენტინობაა“? მიულოცე. რვა მარტია? მიულოცე სიყვარულის ნორმატივები ჩაბარებულია.

მაგრამ თუ პირად რწმენას საეკლესიო დღესასწაულების საშუალებით სჭირდება განმტკიცება? მართალია, ამ თარიღების განცდისას ჩვენ, პირველ რიგში, სულიერი სიხარულით ვივსებით და არ ვაკონტროლებთ, გავიზარდეთ თუ არა რწმენაში. მაგრამ შობის აღნიშვნა ხომ ჩვენთვისაა საჭირო და არა - ქრისტესთვის? მაშ, რა არის ცუდი იმაში, რომ გარკვეულ დღეს შენს რჩეულს კიდევ ერთხელ უდასტურებ სიყვარულს? ეს ხომ არ გამორიცხავს ამ სიყვარულის სხვა დროსაც გამჟღავნებას. მართალია, ეს საქციელი არ იგეგმება, ამ დღეს კი შენი რჩეული შენგან განსაკუთრებულ ყურადღებას ელის, მაგრამ რა არის ამაში ცუდი? ეს ერთგვარი ტესტია იმისა, თუ ფანტაზიის რა დოზას აღძრავს შენში სიყვარული. ხელოვნების უბზყინვალესი ნიმუშები დაკვეთით შექმნილა. მერედა, რა არას ამაში დასაძრახი? ამგვარი დღესასწაული, როგორც დღეს იტყვიან, „საზოგადოების დაკვეთაა“.

მართლაც, დღევანდელი ახალგაზრდობა ეშურება ყოველი ახალი „საზეიმო დღის დაწესებას“. რამდენიმე წლის წინ თინეიჯერთა ჟურნალ „ვარსკვლავების“ რედაქტორმა ასეთ ალტერნატიულ „სიყვარულის დღედ“ საკუთარი დაბადების დღე გამოაცხადა. და მისმა ამ ინიციატივამ მომხრეებიც საკმაოდ შემოიკრიბა.

თითქოსდა, ახალი აღთქმაც გვიდასტურებს ისეთი დღეების აღნიშვნის მიზანშეწონილობას, რომლებიც სარწმუნოებასთან არ არის დაკავშირებული - თუნდაც იმ მხრივ, რომ კვირის პირველ დღეს კარგია მოწყალების გაღება. იქნებ სიყვარულის გამჟღავნებაც კვირაში ერთხელ დავთქვათ? დარწმუნებული ვარ, ბევრი ამ გამოწვევასაც გაამართლებს.

საქმე ისაა, რომ კვირა დღეს მოწყალების გაღება მაცხოვრის ჩვენდამი უმაგალითო მოწყალებას გვახსენებს და ამ საქციელში ჩვენ ცოტათი უფალს ვემსგავსებით. ჩვენს მოწყალებასაც - ჩვენს მსხვერპლს უფალს, როგორც „მცირეთაგანს“ ვანიჭებთ. ბევრ ქართველ მორწმუნეს ეხსომება ჩვენი პატრიარქის ადრინდელი კურთხევა შაბათ დღეს მოწყალების გაღების შესახებ. უნდა გამოვტყდე, რომ მაშინ ერთგვარი პროტესტიც კი გამიჩნდა - ვფიქრობდი: რატომ უნდა გავცე მოწყალება მაინც და მაინც დანიშნულ დღეს? მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ეს კურთხევა კიდევ ერთ დღესასწაულად შეიძლება მივიღოთ - მაცხოვარი ხომ ხშირად სწორედ შაბათობით, იუდეველთათვის უქმე დღეს, რჯულზე სიყვარულის აღმატებულობის დასადასტურებლად იქმოდა კურნებებს.

ამგვარად, ქრისტიანული დღესასწაულები ქრისტესა და მის წმინდანებს კიდევ ერთხელ გვაზიარებს. „ვალენტინობას“ კი ამგვარი საფუძველი არ გააჩნია. ტრადიციული ქრისტიანული დენომინაციების მიერ იგი საეკლესიო დღესასწაულად არ მიიღება.

მართალი გითხრათ, „ვალენტინობის“ აღნიშვნას ვერ ვითავისებ სხვა მიზეზითაც: იგი იმ სამყაროს შემოთავაზებაა, სადაც, თითქოსდა, უფრო რომანტიკული და ძლიერია ქალ-ვაჟის სიყვარული, რამაც გამოიწვია კიდეც, ჩვენგან განსხვავებით, ეს დღესასწაული. არ მინდა, რომ ეს ასე იყოს. და თუ ეს ასეა, იმით მაინც ვინუგეშოთ თავი, რომ ჯერ არ დაგვჭირვებია „სიკეთის“, „მეგობრობის“ და სხვა ამგვარი დღესასწაულების ექსპორტი.

ხომ არ არის „ვალენტინობა“ იმ მომძლავრებული „ტრადიციის“ გამოძახილი, რომელიც გარშემომყოფთათვის სულ უფრო დაუფარავს ხდის ქალ-ვაჟის სიყვარულს? დღეს ახალგაზრდები სიამაყით აცნობენ თავიანთ შეყვარებულებს მშობლებს, მასწავლებლებს, ნათესავებს. კარგად ვერც ავხსნი, მაგრამ მგონი ისეთ პირადულ, ინტიმურ გრძნობას, როგორიც ქალ-ვაჟის სიყვარულია, მართლაცდა, „მალვა უნდა“. გახსოვთ დოჩანაშვილის „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება?“. მწერალი მიიჩნევს, რომ სამშობლოს სიყვარულსაც დაფარვა სჭირდება. მე გავკადნიერდები და ვიტყვი: ღვთის სიყვარულსაც დაფარვა სჭირდება - როდესაც თანამოაზრეთა შორის არ იმყოფები და არც არავინ გედავება რწმენაში. ტაძარს პირჯვრისწერით, წმინდა ადგილებს თაყვანისცემითა და ამბორით მიეახლები, მაგრამ შენი მომლოცველობის შესახებ მავანს სატელევიზიო კლიპის გადაღების უფლებას არ მისცემ. ღმერთმა გვიშველოს ყველა შეცდომილს!

არ გამოვრიცხავ, რომ „ვალენტინობა“ უხამსი „სიყვარულის“ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. გაიხედეთ, რა ხდება: ყოველი ფეხის ნაბიჯზე გამოშიგნული სიყვარულის ამსახველ ილუსტრაციებს ვაწყდებით (მადლობა ღმერთს, რუსული ფრაზა „სიყვარულით დაკავება“ ჯერ ქართულად არ თარგმნილა). მაგრამ არც საწინააღმდეგო მოტივს გამოვრიცხავ: „ვალენტინობა“ ზოგიერთებისთვის, რიო დე ჟანეიროს კარნავალის მსგავსად (რომელიც ხშირად ამავე დღეებში იმართება), „სიყვარულით დაკავების“, ქორწინებამდე სექსის საბაბად ხომ არ იქცევა?

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლისადმი სიყვარულის კიდევ ერთი გამომჟღავნება ყოველთვის სიხარულით და მადლიერებით აღიქმება, „ვალენტინობა“ უფრო მეტად ქორწინებაში არმყოფ შეყვარებულთა დღეობაა, რადგან მათ უფრო ესაჭიროებათ სიყვარულის დასტური, სიყვარულისა, რომელიც ჯერ კიდევ არაა მადლისმიერი კავშირით აღბეჭდილი; ხშირად კი ასეთი კავშირი არცაა მიზნადდასახული. ბევრ ახალგაზრდას დღეს, გაცნობიერებული აქვს, რომ სიყვარული თვალუწვდენელ პერსპექტივაში მიმავალი პასუხისმგებლობაა?

ეკლესია ცოლქმრულ ცხოვრებას წმინდა კავშირად მიიჩნევს. გვირგვინები, რომელსაც ნეფე-პატარძალს ტაძარში უკურთხებენ, მოწამეთა გვირგვინს ნიშნავს, რადგან ქორწინება ღვაწლია, რომელშიც ჭეშმარიტი, განსაცდელზე გამარჯვებული სიყვარული გამოიბრძმედება.

აღინიშნება კი ეკლესიის მიერ ქრისტიანული ოჯახისდღე? რუსეთის ეკლესია ასეთად წმიდა პეტრესა და თებრონიას ხსენების დღეს მიიჩნევს. ხშირად ამგვარ დღესასწაულად წმიდა ადრიანესა და ნატალიას ხსენებას უკავშირებენ. მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი პირადი საოჯახო დღესასწაულიც - ჩვენი ქორწინების დღე, რომლის საზეიმო აღნიშვნას, მსგავსად დაბადების დღისა, ეკლესია, ცხადია, არ გვიკრძალავს.

მაგრამ კრძალავს კი ეკლესია „ვალენტინობის“ დღესასწაულს? მრავალი მართლმადიდებელი იერარქი გადაჭრით უარყოფს ამ ტრადიციას. ცნობილი რუსი მისიონერი, დიაკონი ანდრია კურაევი კი ვერაფერ დასაძრახს ვერ ხედავს ამ დღესასწაულში. ორიგინალურია რუსეთის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის, მიტროპოლიტ კლიმენტის ახლახან გაკეთებული განცხადება. მასში დაგმობილია „რუსული კულტურისთვის შეუფერებელი“ 14 თებერვლის დღესასწაული და ამ დღეს მართლმადიდებლური ოჯახის დღის დაწესებაა რეკომენდირებული.

გაამართლებს კი იმ დღესასწაულის დაწესება, რომლის საკრებულო აღნიშვნა ეკლესიამ

დასასრული მე7 გვერდზე

ინფრასტრუქტურა-2021

გზა, რომელიც ადგილობრივებს სიკეთეს მოუტანს

მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა დასკვნით ეტაპზეა

პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომლის მიზანია ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის. სამუშაოებს კომპანია „დინ გრუპი“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 1260 000 ლარია, რომელიც როგორ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე საგრანტო თანხით არის დაფინანსებული. 1 664 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთით 80 ამდე ოჯახი ისარგებლებს.



აქ მომავალი ფალავნები გაიზრდებიან

სოფელ გომბორში საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება

152 000 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია- შპს “ამ-ჯორჯია” ასრულებს.

კეთილმოწყობილი ეზოები

ძალაძ საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოასფალტება-მოწყობის სამუშაოები დამთავრდა.

პრობლემა, რომელიც საუკუნეებს ითვლის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების - ყანდაურასა და ბადიაურის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე წყალმომარაგების კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა.

მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად მსურველების წინადადებების წარდგენა 9 დეკემბრის დასრულდა. მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება გამარჯვებულ კომპანიასთან. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 14 მილიონ ლარზე მეტია.

დღეის მდგომარეობით, სოფელ ყანდაურასა და ბადიაურში არ არსებობს ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა. სოფელ ყანდაურაში, მოსახლეობა წყალს წყაროებიდან და კერძო ჭაბურღილებიდან იღებს.

ორი სოფლის მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის მოეწყობა სატუმბო სადგური, რეზერვუარები, მაგისტრალური მილი, წყალმომარაგების ქსელი და გამრიცხველიანდება მოსახლეობა.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, სამუშაოები 32 თვეში უნდა დაასრულოს. შედეგად, ორი სოფლის 2 600 მაცხოვრებელს სტაბილური წყალმომარაგება ექნება.

სტაბილური წყალმომარაგებისათვის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის წყალმომარაგების სისტემის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების შესახებ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შედეგად, გამარჯვებულ კომპანიასთან 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს გარდამავალი ეტაპის სამუშაოებს კერძოდ, კონტრაქტორი კომპანიის-შპს “ნიუ ქონსთრაქშენს ტექნლოჯი”-ის მიერ 2021 წლის 17 აგვისტომდე უნდა განხორციელდეს საკვლევ-საძიებო სამუშაოებისა და დეტალური საპროექტო ხარჯთაღრიცხვისა და ექსპერტიზის დასკვნის მომზადება. შემდგომი ეტაპი სამუშაოების წარმოებაა, რომელიც 2023 წლის შემოდგომამდე დასრულდება.

დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა წყალმომარაგების ქსელი, მაგისტრალური მილსადენი, წყლის სათავე-ნაგებობა, სატუმბი სადგური, რეზერვუარი და დაგეგმილია მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

პროექტის ჯამური ღირებულება 8 775 00 ლარია.

პროექტის დასრულების შემდგომ, ადგილობრივ მოსახლეობას ათწლეულების განმავლობაში არსებული პრობლემა მოუგვარდება და 3000 ადამიანი სტაბილური წყალმომარაგებით ისარგებლებს.

მოგვარდება სასმელი წყლის პრობლემა

სოფელ კაზლარში, წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტს ტენდერში გამარჯვებული კომპანია - შპს “კაპიტალი” ახორციელებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 714 698 ლარს შეადგენს.

მაგისტრალური წყალსადენის, გამანაწილებელი მილსადენებისა და რეზერვუარის მშენებლობის სამუშაოები მიმდინარე წლის შემოდგომით დასრულდება.





ქართველი ყველგან ქართველობს

გენერალ-მაიორ თენგიზ ეპიტაშვილის მოგონებიდან:

- "პაკისტანის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში, ქალაქ ყანდაღართან დგას მარმარილოს სვეტი წარწერით: "მგზავრო, წამით შეჩერდი და იცოდე - ავღანეთის დაპყრობას ბევრი ეცადა, მაგრამ მხოლოდ სამმა სარდალმა შეძლო ავღანეთის მამაცი მხედრობის დამარცხება. ესენი იყვნენ - ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგიზ ყაენი და გურჯი გიორგი. იქვე ამ სამი დამპყრობლის სიმბოლური საფლავებია.

ავღანეთის ომის დროს დიდხანს ვიბრძოდი ყანდაღარის ჭიშკართან. მოწინააღმდეგეც შესაფერისი მყავდა – მოლა მოჰამედ ომარი – სოფლის მოლა, რომელიც მოგვიანებით მრისხანე საველე მეთაური გახდა. 10 წელიწადს გვეომებოდა, ომარის ხელმძღვანელობით მოჯაჰედები. გააფთრებული გვებრძოდნენ. თითქმის ყველა აული, ყველა სახლი ციხე-სიმაგრედ იყო გადაქცეული. ჩემს გაოცებას დღესაც იწვევს ის, ამ სამხედროწვრთნაგაუველელ, ფეხშიშველა ხალხს საიდან ჰქონდა ამხელა გამოცდილება. აქვე შევიტყვე გიორგი მეთერთმეტეს საფლავის არსებობის შესახებ და მოსვენება დავკარგე.

ბრწყინვალე მეფის, სწორუპოვარი მეომრის ბედი, სიმართლე რომ გითხრათ, ჩემს იმდროინდელ მდგომარეობას შევადარე და აღმოვაჩინე რომ იყო რაღაც, რაც გვაერთიანებდა. დიდებული მხედართმთავარი, ისიც თავისი ნების საწინააღმდეგოდ იბრძოდა უცხო მხარეში. განგებამ ინება, რომ ისტორიაში სამუდამოდ დარჩენილიყო როგორც ტრიუმფალური ქართლის მეფე, რომლის გამარჯვებასაც დამარცხებულმა ავღანელმა ხალხმა მარადიული ძეგლი აუგო.

დიდი სურვილი მკლავდა, მუხლი მომეყარა გურჯი გიორგის სახელით დამშვენებული სვეტისა და საფლავის წინაშე, მაგრამ ვერ ვიღებდით ყანდაგარს, ვერაფრით წავიწიეთ წინ, თითქმის ერთ ადგილს ვტკეპნიდით. ჩემში ისე იძალა სურვილმა, რომ ბიჭებს წყაროს წყალზე ჩამოსული ავღანელი გლეხი დავაჭერინე და მოჯაჰედების მეთაურს მისი პირით შევუთვალე – მე, გურჯ პოლკოვნიკს, გურჯი გიორგის თანამემამულეს, სურვილი მაქვს, ჩემი დიდი წინაპრის საფლავს ვცე თაყვანი და, თუ ნებას დამრთავთ, ხვალ 3 საათზე უიარაღოდ მარტო გამოვალ-მეთქი. არავითარ გარანტიას არ გთხოვთ, მეომრის სიტყვის გარდა. იცოდეთ, მეც თქვენსავით პატარა ქვეყნის შვილი ვარ-მეთქი.

შუაღამისას დაბრუნდა შუამავალი. შემომითვალეს, რომ მათ უფრო მეტი იცოდნენ გურჯი პოლკოვნიკის შესახებ, ვიდრე მე მეგონა. რიტუალის შემსრულებელი კაცი მათთვის წმიდათაწმიდა იყო და მოსისხლეც რომ ყოფილიყო, არაფერს დაუშავებდნენ. უფლება დამრთეს – მოვიდეს, მუხლი მოიყაროს თავისი დიდი პაპის წინაშე, ჩვენ ჩვენი მხრივ დერეფანს გავუკეთებთ, რომ ვინმე მოჯაჰედს შემთხვევით იარაღი არ გაუვარდესო.

მოდი და ნუ გადაირევი ამ ამბის შემტყობი. ბოლოს და ბოლოს ვინ ვიყავი მე მათთვის? – საბჭოთა ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი დახელოვნებული მკვლელი, რომელსაც მათთვის ზიანის მეტი არაფერი მომიტანია, მაგრამ ხმები მომივიდა (დაზვერვა იქაც კარგად მუშაობს და – თითო გამყიდველი ყველგან მოიძებნება), მათ იცოდნენ ჩემი ჩამომავლობის – გურჯობის შესახებ და ჩემს სახელს რაღაცნაირი პატივისცემითაც კი მოიხსენიებდნენ. ყოველივე ეს მაკვირვებდა. იცით, რატომ? რა კარგს მე ვუკეთებდი ამ უწყინარ, თავისუფლებისმოყვარე ხალხს – დღისით, მზისით, თავს ვესხმოდი და ვანადგურებდი. მინდა ჩემ სასარგებლოდაც ვთქვა ერთი რამ: ბრძანება მქონდა გაცემული – ლოცვების დაწყებისთანავე ჩვენებს შეეწყვიტათ სროლა. ამ ბრძანებას ასრულებდა ყველა, ვინც ჩემ დაქვემდებარებაში იყო. ამის შესახებ იცოდნენ მოჯაჰედებმა და ამას დიდ ადამიანურობად და ჩემგან უდიდეს პატივისცემად მიიჩნევდნენ.

დათქმულ დროს უიარაღოდ, შილიფად ჩაცმული წავედი. თეთრი კვართის მსგავსი მოსასხამი მოვიცვი. ეგ იყო, საბჭოთა ოფიცრის ქუდი მაინც მეხურა. ხელები წელზე შემოვიწყვე და ხანდახან ნაბიჯს ვანელებდი, რომ კარგად შემათვალიერონ. თუმცა მათ ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ უიარაღოდ ვიყავი.

ჩემ „ზონას" რომ გადავცილდი, ცოტა არ იყოს, შიშმა შემიპყრო. მაგრამ იმ წუთს ამ სრულიად ადამიანურ შიშს, რომელიც თავისდაუნებურად დამეუფლა, „მოქიშპე" გამოუჩნდა – ჩემ არსებაში გაღვიძებული საოცარი გრძნობა: მე ხომ ქართველი ვიყავი და თანაც გიორგი მეთერთმეტის ნაკვალევზე მიმავალი...

ყოველ ოც მეტრში თეთრად თავყბაახვეული მოჯაჰედები იდგნენ, მათ ახლოს ჩავლისას ვხედავდი, ყველა მათგანი როგორი გაფართოებული თვალებით მიდიმოდა. როგორც იქნა, მივაღწიე ნანატრ ადგილამდე, მოწიწებით ვემთხვიე გრანდიოზულ სტელას, რომელზეც ავღანურ ენაზე შესრულებული ისტორიული სიტყვები ამოვიკითხე. რამდენიმე წუთი ხელი იმ ადგილზე მედო, სადაც „გურჯი გიორგი" იყო ამოტვიფრული. მერე მისი საფლავის წინაშე მოვიყარე მუხლი. კარგა ხანს ვიყავი ასე მუხლმოყრილი. როცა წამოვდექი, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი და იქვე საკუთარ თავს გამოვუტყდი: ახლა რომც ესროლათ, აღარ ვინანებდი, რადგან მე ხომ ჩემი მისია შევასრულე.

სანამ უკან გამოვბრუნდებოდი, ირგვლივ მიმოვიხედე. საოცარი იყო, ორიოდე მოჯაჰედი „მცველის" გარდა ირგვლივ ვეღარავინ დავინახე. მადლიერების ნიშნად ორივე ხელი ზეაღვმართე. მოულოდნელად იქვე, დაახლოებით 50 მეტრში „შავი შაშხანის" (ამერიკული -16) სროლის ხმა გაისმა. დავიბენი, არ შემეშინდა-მეთქი, რომ ვთქვა, ტყუილია, მაგრამ თავს შევუძახე, შიში არ შეგამჩნიონ, გიორგი მეთერთმეტის შთამომავალს არ გეკადრება-მეთქი და წელში უფრო გავიმართე.

გაუგებრობა სწრაფად გაირკვა: თურმე, ჩემ მიერ გადადგმული სწორედ ამ გაბედული ნაბიჯის პატივსაცემად ისროლეს ჰაერში. ცოცხალ დერეფანში ჩამწკრივებულ მოჯაჰედებს გავუსწორდებოდი თუ არა, სამხედრო წესის თანახმად, მხრიდან შაშხანას იხსნიდნენ, ჰაერში ისროდნენ, შემდეგ კვლავ მხარზე იკიდებდნენ, თეთრ კბილებს მიელვებდნენ და გზას ხელით მიჩვენებდნენ – მიბრძანდითო.

უზომოდ გახარებული და სიცხისგან თუ განსაცდელისგან ოფლში გაღვარული დავბრუნდი ჩემ ბლინდაჟში. მეორე დღეს კი საომარი მოქმედებები, საუბედუროდ, კვლავ გაგრძელდა. ერთი თვე დამჭირდა, რათა ყანდაგარი ამეღო. ხატზე შემიძლია დავიფიცო, ქორივით ვედექი ჯარისკაცებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობათაგან არავინ გაეძარცვათ ან გაეუპატიურებინათ. თუმცა, თითო-ოროლა შემთხვევას მაინც ჰქონდა ადგილი. რას ვიზამთ, ომი მაინც ომია. ასეთი „უსიამოვნებები" ყოველთვის თან ახლავს".

გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე გაზეთის კორესპონდენტს გივი დაბახიშვილს და მის მეუღლეს ნინო როსტიაშვილს სიდედრისა და დედის

მაყვალა კუპატაძე-როსტიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის **განცხადება**

საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია აზერბაიჯანთან სადემარკაციო-სადემილიტაციო კომისიის წევრთა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებამ.

ეკლესიას, რა თქმა უნდა, აინტერესებს, შეძლებს თუ არა ჩვენი სახელმწიფო მეზობელ ქვეყანასთან სასაზღვრო პრობლემის მოგვარებას, მაგრამ, ამასთანავე, ყველას გვესმის, რომ ეკლესია არ არის დაინტერესებული ადამიანის პატიმრობით და მის მიზანს არ წარმოადგენს ვინმე დასჯილ იქნეს;

მნიშვნელოვანია არა ის, თუ პიროვნულად ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა, არამედ გვაინტერესებს, მართლა ასხვისებს თუ არა ვინმე სახელწიფოს მიწებს? გვაქვს თუ არა შესაძლებლობა ამ პრობლემის მოგვარებისა?

პირველ რიგში, გვინდა გვჯეროდეს, რომ გამოძიება ისეთივე შემართებითა და მიზანდასახულობით მიმდინარეობს, როგორითაც დაიწყო და გაანინა იმედი.

საზოგადოებას აინტერესებს: მას შემდეგ, რაც ახალი გარემოებები, კერძოდ, რუკები გაჩნდა კომისიის სამუშაო მაგიდაზე, არის თუ არა აზერბაიჯანულ მხარესთან რაიმე კონკრეტული საკითხები გავლილი ან გაანალიზებული? არის თუ არა ჩანიშნული ორმხრივი კომისიის მორიგი სხდომა?

თუ სახელმწიფო აცხადებს, რომ გამოძიება წარმატებით მიმდინარეობს და ივერი მელაშვილმა ბრალი აღიარა, გაუგებრობას იწვევს ის პათოსი, რაც ვიხილეთ მისი გათავისუფლების პირველივე წუთებიდან. კერძოდ, სატელევიზიო ეთერში მისი კადნიერი განცხადება, რომ „ვიღაც ბერი... კელიებთან პოზირებას დაიწყებს". ეს სიტყვები შეურაცხმყოფელია იმ ადამიანებისთვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია ჩიჩხიტურისა და უდაბნოს კომპლექსის პრობლემა. ამასთან, ეს პათოსი ხაზს უსვამს მის პირად დამოკიდებულებას ზოგადად ეკლესიის მიმართ და მეტყველებს მის ცნობიერებაში ამ საკითხის პრობლემად აღქმაზე.

როდესაც ქვეყნის სადარაჯოზე მდგომ სასულიერო პირებს ასე მოიხსენიებს, საკითხავია, რა სასარგებლო საქმე შეასრულა თავად მან კომისიაში მუშაობისას? როგორც ფარული ჩანაწერის მოსმენისას გავიგეთ, ის ამბობს, რომ ერთი გოჯი ვერ დაათმობინეს აზერბაიჯანს იქიდან, რაც მათ მოითხოვეს... და რა ეამაყება ან რა აძლევს ივერი მელაშვილს ასეთი კადნიერების საფუძველს? რა შესძინა მან ქვეყანას? მისი საქმიანობა ხომ მარტივად დაიყვანება აზერბაიჯანის მიერ მოთხოვნილი მიწების შეუპასუხებლად გაფორმებაზე?

სახელმწიფოს ტვირთია, სიტყვა აქციოს საქმედ და დღეს ასე აგორებულ ვნებათაღელვაში საზოგადოებასა და ეკლესიას დაუმტკიცოს, რომ გაჩენილი ეჭვები გარეჯის საკითხის პარტიულ-პოლიტიკურ კომბინაციებში გამოყენების შესახებ მხოლოდ ეჭვებია და აპირებს, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

ვალენტინობა ანუ სიყვარულის დღე და ჩვენ

დასასრული

საჭიროდ არ მიიჩნია და პიროვნულ ინიციატივებს ანდო?

ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ „ვალენტინობა" საქართველოშიც უკვე შემდგარი დღესასწაულია. რატომ არ ვუსურვოთ ჭეშმარიტი სიყვარულის განცდა, შენარჩუნება, გაძლიერება - იმ შეყვარებულებს, რომლებიც გულწრფელად ულოცავენ ერთმანეთს ამ დღეს? მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ეს თავსმოხვეული დღესასწაულია სიყვარულის ნაკარნახევი გამომჟღავნებისა.

ხოლო სიყვარულის ჭეშმარიტი დღესასწაული, იმ დასაბამისეული სიყვარულისა, საიდანაც ყოველგვარი სიყვარული ამოიზრდება, დიდი პარასკევია, როგორც ადამიანისათვის ღმრთის თავდადების სიმბოლო.

მართლმადიდებელი ეკლესია სულთმოფენობის მეორე დღეს სიყვარულის კიდევ ერთ დღესასწაულს აღნიშნავს - სამებობას; ხოლო საქართველოს ეკლესია გერგეტის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის დღესასწაულსაც (16 ივლისს - ახ.სტ.) სიყვარულის დღედ მოიხსენიებს. ჭეშმარიტი სიყვარულით ერთობის აღსანიშნავად.

თამაზ გაბისონია

გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" №4

დღე, რომელიც მართლმადიდებლური მნიშვნელობისა არ არის, მაბრამ ყოველ-დღე უნდა გვახსოვდეს

14 თებერვალი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უდიდესი ზეიმით აღინიშნება. დღე, თითოეულ ადამიანს შეახსენებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, დიახ, გვიყვარდეს ერთმანეთი და ყოველი დღე ერთმანეთზე ზრუნვით, პატივისცემით, სიყვარულით უნდა იყოს დატვირთული. ვამბობთ, 14 თებერვალი არამართლმადიდებლური თარიღია, ამიტომ ამ დღეს დიდი მნიშვნელობა არც უნდა მივანიჭოთ, მაგრამ ხომ არის ერთი ჩვეულებრივი, კალენდარული დღე, რატომ არ შეიძლება ამ დღეს შეყვარებულმა შეყვარებულს, ან ნაცნობმა ნაცნობს ყვავილები მიართვას? ყველას თავისებური პასუხი ექნება ამ კითხვაზე.

სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა მივეცით ***საგარეჯოს I საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეს* მარიამ ჭურდოვანიძეს.**

– მარიამ, რას ნიშნავს შენთვის დღე – 14 თებერვალი და მიგაჩნია თუ არა, მაინცდამაინც ამ დღეს უნდა აჩუქოს შეყვარებულმა, ან ქმარმა ქალს საჩუქარი?

– 14 თებერვალი ჩემთვის ჩვეულებრივი დღეა, ისევე, როგორც სხვა დღეები. ჩემი აზრით, იმისთვის, რომ საყვარელ ადამიანს რაიმე აჩუქო, ამას რაიმე განსაკუთრებული დღე არ სჭირდება, ნებისმიერ დღეს უნდა ჩუქნიდე შენს საყვარელ ადამიანს საჩუქარს.

– რა შეიძლება იყოს საჩუქარი?

– საჩუქარი ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს. მნიშვნელობა არა აქვს ამას ჩემთვის. რადგან საყვარელი ადამიანისაგან მიღებული ნებისმიერი საჩუქარიც კი გამიხარდება.

– შენთვის თუ მოულოცავთ ვალენტინობა? შენ რომ ბიჭი იყო, შენს რჩეულს როგორ მიულოცავდი ქართული სიყვარულის დღეს – 15 აპრილს (თანაც შენს დაბადების დღეს)?

– ალბათ რაიმე განსაკუთრებულს მოვაწყობდი, ყველანაირად ვეცდებოდი გამეხარებინა. ალბათ ერთ-ერთი უზარმაზარი ვარდების თაიგული იქნებოდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით

პრიორიტეტების გამოსავლენად

* * *

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- ალექსი გილაშვილი საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე - ლელა მარიდაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად სოფელ უდაბნოს, სათაფლეს, გიორგიწმინდისა და ანთოკ-მარიაჯვრის მოსახლეობას შეხვდა.

შეხვედრაზე სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებმა იმ პრობლემებსა და საჭიროებებზე ისაუბრეს, რომელთა მოგვარებაც პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ დაფინანსებითაა შესაძლებელი.

დასასრული

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი-გიორგი ერბოწონაშვილი, მის მოადგილე- გიორგი ლალიაშვილთან და საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე - ლელა მარიდაშვილთან ერთად სოფელ ნინოწმინდისა და წყაროსთავის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, აღნიშნულ სოფლებში დამსწრეებს მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტები გააცნეს და მათი საჭიროებები მოისმინეს.

სოფელ ნინოწმინდში, მოსახლეობის უმრავლესობამ პრიორიტეტად სატრენაჟორო სივრცისა და გარე განათების მოწყობა დაასახელა. ხოლო წყაროსთავში-გასართობი და მოსასვენებელი სკვერის მოწყობა.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru